



თბილისის სააპელაციო სასამართლო

ბ ა ნ რ ი ნ მ ბ ა

საქართველოს სახელით

სასამართლო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №28/2947-10

“21” მარტი, 2011წ.

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

მოსამართლეები:

ქეთევან კუჭავა

ლილი ტყემელაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სასამართლო უწყების საჯაროდ გავრცელების საკითხი

პალატამ ბამორკშია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 09.08.2010წ. განჩინებით მიხეილ ჭუმბურიძის სასარჩელო განცხადება მოპასუხეების შპს “არბიტრაჟი”-ს, ხათუნა დარჩიაშვილის, გიორგი კენჭაძის და ირაკლი ოდიშარას მიმართ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადმოეგზავნა ულებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეებისათვის ხათუნა დარჩიაშვილისათვის, შპს „არბიტრაჟისათვის“ და ირაკლი ოდიშარიასათვის უწყებების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, პალატა თვლის, რომ მათ საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოთ სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 78-ე, 284-ე და 414-ე მუხლებით

დ ა ა დ ბ ი ნ ა :

1. ეცნობოთ შპს „არბიტრაჟს“, ხათუნა დარჩიაშვილს და ირაკლი ოდიშარიას, რომ, სასამართლო სხდომა სამოქალაქო საქმეზე №2ბ/2947-10, მიხეილ ჭუმბურიძის სარჩელისა (საჩივრისა) გამო მოპასუხეების ხათუნა დარჩიაშვილის, შპს „არბიტრაჟის“, ირაკლი ოდიშარიას და გიორგი კენჭაძის მიმართ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის თაობაზე, დანიშნულია 29.03.2011წ. 15:00 საათზე. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა, დარბაზი №6).
2. განემარტოთ შპს „არბიტრაჟს“, ხათუნა დარჩიაშვილს და ირაკლი ოდიშარიას, რომ სასამართლო უწყება მათთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.
3. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის წარდგენა არ დაიშვება.

თავმჯდომარე:

თ. ზამბახიძე

მოსამართლეები :

ქ. კუჭავა

ლ. ტყემალაძე